სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე ეკონომიკური პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და პრაქტიკა

თამუნა ძიძიკაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის (MBA) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირაკლი მაჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

აბსტრაქტი

დღეისათვის, სატყეო მიწების ფართობებზე ეკონომიკური პროექტების განხორციელება დიდი ინტენსივობით ხდება. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი როლი ეკისრება ტყისა და სატყეო მიწის ფართობების მარეგულირებელ კანონმდებლობას. სამაგისტრო თემის კვლევიდან გამომდინარე გამოვლინდა ზოგადი ტენდენციები რა მიზნებით ხდება ტყისა და სატყეო მიწების ფართობების ამორიცხვები და/ან სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა. განისაზღვრა რა პრობლემებთანაა დაკავშირებული პროცესები, რითაც იმართება აღნიშნული საკითხები. ამასთანავე, განისაზღვრა სატყეო მიწებზე ეკონომიკური პროექტების განხორციელებისთვის (ან უკვე განხორციელებული ინფრასტრუქტურის გამართულად მუშაობისთვის) საჭირო ხის რესურსის მოჭრასთან დაკავშირებული პროცედურები. **ხის რესურსების მართვა-გამოყენება ერთნაირად ხორციელდება** ტყის ფონდიდან ამორიცხულ და სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის ფართობებზე. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ კანონები, რომელიც არეგულირებს ხის რესურსების აღრიცხვას, შეფასებას, მოჭრას, ტრანსპორტირებას და დასაწყობებას, ურთიერთგამომრიცხაობით ხასიათდება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შეირჩა სამი დიდი კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯია“, ს.ს “ნავთობისა და გაზის კორპორაცია“ და ს.ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემები“, რომელთა კუთვნილებაში არსებული ინფრასტრუქტურები სატყეო ტერიტორიის დიდ ფართობებს იკავებს. იმ ტერიტორიებზე, სადაც განთავსებულია ინფრასტრუქტურა (ელექტროგადამცემი ხაზები, გაზისა და ნავთობის მილსადენები) გამოთვლებით დადგინდა, ინფრასტრუქტურის დაცვის ზონებში ხის რესურსის რა საპროგნოზო მარაგია. შეფასდა მისი ეკონომიკური ღირებულება და განისაზღვრა რა სარგებელი ექნება სატყეო სააგენტოს ამ ყველაფრიდან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტყისა და სატყეო მიწის ფართობები, ტყის ფონდიდან ამორიცხვა, სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა, ხის მერქანი, კანონმდებლობა.